

# შინაური საქმეები.

№ 15.

შანი ერთი შაური

წლიური შანი 4 მან.

წელიწადი მეხუთე.

სოციალ-დემოკრატიული გაზეთი

კვირა, 22 აპრილი 1912 წელი

ყოველ-კვირეულ ვაჭეი

## შინური საქმეებზე

ხელის მაწონის მიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთალოს რაიონის) — კაზაკოვის მუშის მამისა და თაბისძის კამბეკუელთან სომხის პაჩაშის, სიმონაძის მუშის მამისა და თაბისძის კამბეკუელ თვეში ოთხი ნომერი.

### გაზეთის შანი:

წლიური ფასი: 4 მანეთი.      ნახ. წლით: 2 მანეთი.      ერთი თვით: 2 აბაზი.

### ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

ფულანა შკობტანა წლიურ ხელის მაწონის მიღებას უწყობს. თვიურად 2 მ. და 1 ოგნის 2 მ. განცხადების ფასი წინა გვერდზე პეტრით სტრიქონი ორი შაური, უკანასკნელზე 7 კ. ადრესი: ქუთაისი: შანაურა საქმეების რედაქცია.

**შინაური:** 1) გურია-სამეგრელოს სამღვდლოების წლიური ეპარქიალური კრება — რედ.-სა; 2) გოდება, ილია ქავევაძის ბარბაროსულად მოკვლის გამო — ქიხოსრო გელოვანისა; 3) სარწმუნოებრივი აღზრდის საკითხი ინგლისის პირველდაწყებით სახალხო სკოლებში — მღვ. დო — ტი ჩხაიძისა; 4) მატერიალიზმი; 5) რა შევინანოთ (პასუხათ თ. ყორღანისა) — ნაქუღბაქოველი მოძღვრისა; 6) დავით ალავერდის ეპისკოპოსის მობრძანება თუშებში 1912 წ. მარტის 27 დღეს — ვანო ლაგაზიშვილისა; ა) ვანო ქაძის სიტყვა; ბ) წოვის მამასახლისის იოსებ უშარაურის სიტყვა; 7) ყოვლადსამღვდლო ლეონიდის მოგზაურობა სამეგრელოს ეკლესიების დასათვალისწინებლად — ნ.-სა.

### გურია-სამეგრელოს სამღვდლოების წლიური ეპარქიალური კრება

კრება გაიხსნა 11 აპრილს მისი მეუფების ეპ. ლეონიდის სიტყვით, რომლის უმთავრეს შინაარსს შეადგენდა მოწოდება სამღვდლოებისა თვითგანვითარებისადმი იმ ნაწილში მაინც, რომელსაც იგი ემსახურება, ე. ი. ლეთისმეტყველებაში. ყოვლადსამღვდლომ მწუხარებით აღნიშნა ის ფაქტი, რომ ბევრგან ეპარქიაში სამწყსო უფრო განვითარებულია მწყემსზე და ამიტომაც არის, რომ მღვდელი აბუჩად არის აგდებული. დღევანდელ დღეს მღვდლის ავტორიტეტის აღდგენა მხოლოდ განვითარებით შეიძლება. თუ ეხლავე ხელი არ მივყავით ასეთს, შორს აღარ არის ის დრო, როცა ხალხი სრულიად ჩამოშორდება სამღვ-



დღეობას. ამიტომ, რაც შეიძლება, მალე უნდა მივყოთ ხელი თვითგანვითარებას, რაშიდაც სამღვდლოებას ხელს შეუწყობს სარწმუნოებრივ-ზნობრივ წიგნებ-წიგნაკების და ჟურნალ-გაზეთების კითხვა. მისმა მეუფებამ საჭიროთ სცნო და სამღვდლოება დაავალა დაარსონ ეკლესიებთან წიგნთსაცავ-სამკითხველოები, თვითაც იკითხონ და ხალხსაც აკითხონ, ან თითონ უკითხონ. ამასთან ნება დართო ეკლესიის საშუალებით წიგნების შექმნის შესახებ. სამღვდლოებამ ყურადღებით მოისმინა მისი მეუფების სიტყვა და აღუთქვა მისი ბრძანების განხორციელება შეძლებისამებრ.

სამღვდლოების კრებას განსახილველ საკითხათ წინ ედვა სანთლის ვაჭრობის საქმე, სამარხი კასის ანგარიშის განხილვა, ჯამაგირების განაწილება, სასულიერო შინაარსის გაზეთისა და წიგნებ-წიგნაკების გამოცემის საქმე და სემინარიის პარალელურ კლასების შენახვა.

სანთლის წარმოების საქმე გასულ წელში მისი მეუფების ხელში ყოფილა, რაც მისთვის წასული წლის კრებას მიუხდვია. მის მეუფებას ძრიელ გაუმარტოვებია სანთლის წარმოება. მას უფრო ხელსაყრელად უცენია გაკეთებული სანთლის ყიდვა და ოთხი წლის ვადით შეკვრია ოსტატს, რომელმაც ფუთი გაკეთებული სანთელი, მოწონებული, 29 მანეთ ნახევრათ უხდა აძლიოს საწყობს.

ამის შემდეგ გამგის თანამდებობა ზედმეტად მიუჩნევია და მხოლოდ ერთათ ერთი გამყიდველი დაუქირავებია წელაწადში 210 მანეთათ. ამ წლის განმავლობაში სანთლის საქმე ისე კარგათ წასულა, რომ 4000 მანეთამდე მოგება დარჩომია საწყობს. სამღვდლოება მადრიელი გაუხდა მის მეუფებას ასე საქმის დაყენებისთვის, მხოლოდ ოსტატს საყვედური გამოუცხადა ჭუჭყიანი სანთლის კეთებისათვის. სანთლის სიაკარგემ დიდი კამათი გამოიწვია და მის (სანთლის) სიკეთის თუ სიგლახის დასამტკიცებლად თბილისში გაგზავნეს, როგორც გაკეთებული, ისე გაუკეთებელი ქიმიკურ ანალიზისთვის. დღეს გურია-სამეგრელოს სამღვდლოებას 7000 მა-

ნეთამდე სანთლის მოგება აქვს შენახული ადგილობრივ საკრედიტო დაწესებულებებში...

სანთლის დუქანი ვაჭრული დაწესებულება და სათადარიგო თანხა ყოველთვის უნდა ჰქონდეს. სწორეთ ამ აზრს ადგია ეპარქიის სამღვდლოება და ძალიან კარგს იზამს, რომ იმერეთის სამღვდლოებაც ასე მოიქცოდეს.

სამარხი კასის საქმე სამაგალითოდ ჰქონია დაყენებული გურია-სამეგრელოს სამღვდლოებას და წელს 14 ათას მანეთამდე შემწეობა გაუტოლა.

კამათი გამოიწვია წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლამ და მმართველ საბჭოს გადაჭრილ ჯამაგირის დანიშვნის საკითხმა. დღემდე საბჭოს გასამრჯელო 1600 მანეთზე მეტი აუღია წელიწადში წესდების ძალით. ეს ჯამაგირი დიდათ ეჩვენა სამღვდლოებას და ამიტომ გადასწყვიტეს განსაზღვრული ჯამაგირი დაინიშნოს, სახელდობრ წელიწადში 800 მანეთი, რომლის დანაწილება ურთიერთ შორის შრომისდაგვარად ისევ საბჭოს მიანდეს.

თბილისის სასულიერო სემინარიის მოთხოვნილებას შესახებ პარალელურ კლასების შენახვისა, სამღვდლოებამ უარი უთხრა უსახსრობისა გამო და იმის გამო, რომ ქართულ სემენარიში, ქართველები ძრიელ ცოტანი არიან ასე, რომ სხვა ტომის ხალხით რომ არ ივსებოდეს ეს სასწავლებელი, პარალელური კლასები საჭირონი აღარ იქნებოდნენ, და თუ დღეს ისინი საჭირონი არიან ვისმისთვის, მათვე უნდა შეინახონ.

არ შეიძლება ჩვენი უღრმესი მწუხარება არ გამოეთქვათ იმის თაობაზე, რომ ჩვენი შეიძლება პანტასავით სცვივიან სემენარიიდან. შეიძლება ამაში თვით მოსწავლენი იყვნენ დამნაშავენი, მაგრამ ისიც მივიღოთ მხედველობაში, რომ კვამლი უცეცხლოთ არ იქნება. საჭიროა სემენარიის მმართველობა მეტ კატმოყვარულ ზომებს ხმარობდეს შეგიძლების გასწორების საქმეში და ხელს აიღებდეს ნაციონალურ ძარღვების ხიჩინზე. ეს ისეთი სათუთი რამ ძარღვია, რომ ყოველი მისი შეხება სასტიკ რეაქციას იწვევს.



საკლესიო წიგნთსაცავ-სამკითხველოების საკითხში სამღვდელთაგან აღიარა შესაფერი წიგნების და ჟურნალ-გაზეთებ უქონლობა. გამოითქვა აზრი, რომ ხალხს არაფერი აქვს საკითხავი ზნეობრივ-სარწმუნოებრივ შინაარსის წიგნები. მხოლოდ ერთად ერთი სარწმუნოებრივ-საზოგადოებრივი გაზეთი „შინაური საქმეები“ ასე თუ ისე აკმაყოფილებს ამ მოთხოვნილებას, რაისათვისაც მისი სავალდებულოთ გამოწერა ყველასათვის სავალდებულოთ იცნო კრებამ და კიდევ მიიღო შესაფერი დადგენილება. რაც შეეხება სახალხო გამოცემებს და საღვთისმეტყველო წიგნებს, ამის წარმოება კრებამ ხსენებულ გაზეთის რედაქტორს, მღ. სიმონ შქედლიძეს, დააკისრა და თავის მხრით ყოველგვარი დახმარება აღუთქვა.

კრების საზოგადო კეთილ შთაბეჭდილებას ძალიან ხელს უშლიდა გურულ მეგრელობა. ძრიელ სამწუხაროა ერთი ეკლესიის და ერთი ტომის შვილთა შორის ასეთი დამოკიდებულება. დროა შევიგნოთ, რომ საქართველოს ეკლესია ერთია და ყველა მისი წარმომადგენელი ერთი სულით უნდა ვიყვნეთ გამსჭვალულნი.

დასასრულ არ შეგვიძლია ჩვენი გულითადი მადლობა არ გამოუცხადოთ გურია-სამეგრელოს სამღვდელთაგან და მის წარმომადგენელ წრეებში, რომელმაც ასე გულდამდადი მიიღო ჩვენი თხოვნა და გაზეთის წლიური ფასი წინდაწინვე ერთიანად მოგვცა. ვეცდებით, გავამართლოთ მისი მეუფების და სამღვდელთაგან ნდობა.

რედ.

### გოდება

ილია ქავჭავაძის ბარბაროსულად მოკვლის გამო.

15 სექტემბერი 1907 წელი<sup>1)</sup>.

მთელი ქართველი ერი, გამოკლებით იმ ველურ ორფეხა მხეცებისა, რომლებიც მხო-

<sup>1)</sup> ეს სიტყვა ავტორს მიცვალბულის ცხედრის წინ უნდა წარმოეთქვა, მაგრამ ავთოგოფობის გამო ვერ დაუწერა გასვენებას.

რედ.

ლოდ გარეგანის აგებულების სურათით წარმოადგენენ დოკუმენტს ადამიანთა ნათესაობისას,—განურჩევლად წოდებისა, ხნოვნებისა, კლასისა, წრმენისა, მიმართულებისა, აზრისა—შეხედულებისა,—სულითა და გულით დაქმუნვებული, გარემოცული არაჩვეულებრივის საგლოვიარო გრძნობით, გმინავს და ცრემლდობს. ჩვენი რჯულის კვარცხლბეკიდან ისმის სულიერად დამაღონებელი გლოვის ზარი. —მთელი თვისი სულიერი და ხორციელი აგებულებით ძამამოსილი, გათვითცნობიერებულნი შვილნი საქართველოსა, მიეშურებიან ეკლესიებში, რათა აღაღინონ ცრემლით გაყენილი ლოცვა-ვედრება დიდებული სული ზეციურ დიდებულ სავანეში განსვენებისათვის. ქეშმარიტნი მსახურნი ჩვენი სულიერი საყდრისა, ღირსეულნი მოძღვარნი ჩვენი ხალხისა, გაღუგვარებულნი ქართველი იერარქნი ზარცემულნი, ცრემლით ლტობილნი აღსრულებენ ტაძრებში სამგლოვიარო მსახურებას, ლიტანიას,—დიდებული ადამიანის სულის უკვდავების სავანეში დასადგურების შესახებ. გოდებაა ქართველი ერის ტერიტორიის ზენა სფერაში; ქართველების ბედის ვარსკვლავი შავის ღრუბლით არის გარემოცული. გლოვა-გოდებაა ქვემოთ, ქართველთა სამლოცველოებში, საერო შესაკრებელ ადგილებში, და თითოეულ კერძო ოჯახებში... საქართველოს ყოველი კუთხიდან ქართველების დედა ქალაქ თფილისში მძიმე კმუნვარების გამომხატველი დეპეშა-დეპეშას მისდევს, წერილი წერილს, წარმომადგენელი, წარმომადგენელს. სულის სიმშვიდის დამარღვეველ მწუხარებით შეპყრობილია ყოველი ქვეათა მყოფელი და გონიერი შვილი საქართველოსა, რა ამბავია? რა მოხდა?—რა ისეთი გამოუცდელი უბედურება გვეწია უბედობაში და მრავალგვარ მძიმე განსაცდელში გამოვლილს, გამოწითობილს ქართველებს, რომ მთელი საქართველო და მისი ღირსეული შვილნი ასე საერთოდ ზარცემულნი და ბედისგან გამწარებული ღირსეული ღირსეული დღემდის არავის უნახავს?—ის თავზარდამცემი და აღშაშფოთებელი ამბავია, ის დიდი საერთო უბედურებაა, რომ



ჩვენსავე საერო ნიადაგზე, ჩვენსავე ოჯახში მოგვიკლეს ჩვენი ერის საუკეთესო მესვეური, თავმოსაწონებელი საამაყო წარმომადგენელი, ჩვენი ხალხის აღმამაღლებელი ავტორიტეტი, ჩვენი ქვეყნის დიდება-ნუგეში, სათაყვანო მამულიშვილი; მოგვიკლეს ვერაგულად ჩვენშივე ილია ქავჭავაძე, — რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ნუგეშს და ნათელს ჰქვენდა და შეურყვეველ ბურჯად ედგა თავის დაობლებულ და ბნელით დაფლობილ დედაქვეყანას, და მის შვილთა ეროვნულ სიკოცხლეს. მოჰკლეს ილია ქავჭავაძე, ქართული ნათელ აზროვნების, მდიდარ სიტყვიერების, მაღალი პოეზიის, მუზის, მწერლობის მკვდრეთით აღმადგენელი, უკვდავი სულის ჩამდგმელი, გამაბრწყინებელი — გამამდიდრებელი. მოჰკლეს ილია ქავჭავაძე, ქართველი ერის საღათას ძილისაგან გამაღვიძებელი, გონების თვალის ამხელი, გამაკოცხლებელი, ქუა-აზროვნებით ამამოძრავებელი ელემენტი. მოჰკლეს ილია ქავჭავაძე, უხვად მთესილი ყველა იმ ჰუმანიურ უმაღლეს და უწმიდეს იდეალთა რომლის განხორციელება უნდა დაედევას მთავარ საფუძვლად ქართველი ხალხის გონებრივი მხრით მაღალს სფერაში ასვლას, და მის ეროვნული და კულტურული მხრით მკვდრეთით აღდგომას. მოჰკლეს ილია ქავჭავაძე, ყველა ქართულ პროგრესიულ აზრთა და ამ აზრთა განხორციელებისათვის მუშაკთა მამათმთავარი. მოჰკლეს ილია ქავჭავაძე, და მით დაუშვრეს ქართველ ხალხს გონების თვალთ სიბრძავეისაგან განმკურნებელი სილოამის წყარო... დიახ, მოგვიკლეს იმეათი ქუიანი, ნიჭიერი, გონების თვალთ შორსმხედველი, ღრმად მოაზრე ბრძენი მამა ჩვენი საერო ოჯახისა, და მით მთელი ქართველი ერი დაგვაობლეს, დაგვასუსტეს — დაგვადარობეს... შეურაცხვეს ავაზაკთა უწმინდური ხელით, შებღალეს ჩვენი ეროვნული თვითშეგნება, ჩვენი ნაციონალური ავტორიტეტი... დაობლებული, მოკლებული დიდ აზროვან მეთაურს, ერი ჰქუნავს და გოდებს. აღტყინებული სასტიკის გულის წყრომით მრისხანებს, გრგვინავს, ბობოქრობს. გატაცებულია უსჯუ-

ლო და უსინდისო მტერის აღმოჩენისა და მის ღირსეულად დასჯის სურვილით. ქართველებს ვერაგინ გვიძრახავს იმას რომ ჩვენი საერო მტრის, ჩვენი ეროვნული საამაყის დიდებული მამულიშვილის მკვლელების აღმოჩენა და გასამართლება გვწყუროდეს. ეს წყურვილი ყველა თავმოყვარე და გათვითცნობიერებულ ადამიანის და ადამიანთა კრებულის ბუნებრივი თანშობილი თვისებაა. მაგრამ, ესთქვათ ქართველმა ნაციამ, ამ მძიმე უბედურების ეამს შემოიკრიბა ძიებისათვის საჭირო ძალ-ღონე, აიღო ხელში დიოგენის ლამპარი საზიზღარ მტარვალების საძებნელად. აი მიაგნო კიდევ ბნელით მოცულ ჯურღმულში მათ უწმინდურს ბინას, გაკოჭა ისინი და გამოიყვანა ყველასაგან სახილველ მოედანზე, ჩაქოლა ისინი ერის გულის წყრომითა და ზიზღით, შეაჩვენა, განსდევნა ისინი, როგორც მომქმენდი აღმშფოთებელ ბარბაროსობისა. მერე რა გამოვიდა ამით? გარდა მრისხანებით გახურებული გულის გაგრილებისა ხევა ნაყოფს რას მოვიმკით ამიდან? — ორფეხიანი ნადირნი, რომელთაც განგმირეს დიდებული შვილი საქართველოსა, დაღვარეს უმანკო სისხლი ბრძენი პოეტისა, — კიდევ რომ ჩავიგდათ ხელში და დავსაჯოთ არსებულის კანონის წესით, განა ამით ილიას მკვლელებს საერთოდ დავსჯით, მოვსპობთ, თავიდან მოვიშორებთ ჩვენი საერო ოჯახიდან, ჩვენი საერო აგებულებიდან? არა მგონია... არა მგონია იმიტომ, რომ ილია ქავჭავაძის მკვლენი მარტო ერთი და ორი ორფეხიანი მხეცები კი არ არიან არამედ ჩვენდა სავალილოდ ჩვენი მასხის გაუთვითცნობიერებელი, გონებრივად დაქვეითებული, ბნელით მოცული ნაწილია; რომელთაც წარმოშობეს და აღზარდეს თავიანთ შესაფერი ნაყოფი, ილიას მკვლელი რაინდები... დიახ, უკუკომ მოჰკლა ქუიანი, უაზრომ — აზრიანი, უგნურმა — გონიერი, უნიკომ — ნიჭიერი, გაუნათლებელმა — განათლებული, უმეცარმა — მეცნიერი, გონებრივმა სიბნელემ — გონებრივი სინათლე... ეხლა მგონია მივაგენით ჩვენ, ილიას მკვლელებს. აი, ამ უხსულა და უხორცო, მაგრამ ყოველ სულ-ხორციან ჩვენ



მტრებზე უფრო ჩვენი ძლიერი საერო მტრის წინააღმდეგ, რომელიც ადამიანებს ქმნის მხეცებად და აღნიებს ველურ საქციელს, უნდა აღიჭურვოს ქართველი ხალხის კჳა-გონებით მაღალ საფეხურზე მდგომი გათვითცნობიერებული კლასი, რომ როგორმე დასძლიოს, განსდევნოს ჩვენი საერო ოჯახის კრებულიდამ ეს დამღუპველი, ეს გამანადგურებელი მტერი. — სხვათა შორის ერთი უკვდავი გენიოსური დიდება მაცხოვრისა, იმაში მდგომარეობს რომ მან სიკვდილით მოჰკლა სიკვდილი... ქართველი კჳა-გონებით სადი და განვითარებული კლასიც უნდა ეცადოს მთელი თვისი გონებრივი და ნივთიერი ძალ-ღონით რომ მისი დიდებული მამულიშვილის სიკვდილით მოჰკლას, განსდევნოს თავის საერო ოჯახიდან ილია ჭავჭავაძისთანა კაცების მკვლელები. ბერწყოს ის წყეული ბუნაგი რომელთაც წარმოშობეს ჩვენის ქვეყნის დიდების, ილიას, მკვლელები. ე. ი. კჳით უნდა მოვჰკლათ უჰკჳობა, აზრით—უზრობა, გონიერებით—უგნურობა, განათლებით—განათლებლობა, მეცნიერებით—უმეცრება, გონებრივი სინათლით—გონებრივი სიბნელე და სხვა... დიახ, ჩვენ უნდა ვეცადოთ ყოველი ღონით ჩვენი ხალხის, თუ ძველის შეუძლებელია, მომავალი ახალი თაობისას მიიწე, საერთოდ გონების თვალის ახელას, გათვითცნობიერებას, სწავლა-განვითარების მინიჭებას. აზრითა და კჳა-გონებით მაღლა აყვანას. დიახ ჩვენვე უნდა ვეცადოთ თითოეული მწვერი ჩვენი საერო ოჯახისა აღზარდოთ ზნეობრივად სპეტაკ ადამიანთ, თორემ ამ მხრით სხვის იმეღათ ყოფნა, სხვისი შეჩერება კეთილს არას მოგვანიჭებს... ციხე, ციმბირი, და კატორღა, ილიას ჰირისუფალს დედაქვეყანას განმაკურნებელ შალამოს ვერ დასცხებს, — არამედ ის და მხოლოდ ის რომელსაც გვიჩვენეს ჩვენი გონების თვალთ სწორმხედველი მამულიშვილი, პედაგოგი ბ-ნი ი. გოგებაშვილი. ე. ი. ქართველმა ერმა, ყოველი წოდებისა და პროფესიისამ არ უნდა დაიშუროს თავიანთ შეძლების კვალობაზე წვლილის შეტანა ილიას ფონდის სასარგებლოთ, შეძლებულმა თავის შეძლების შე-

საფერად და ღარიბმა თავის მოხერხების შესაფერად. მთელი ქართველი ერი უნდა ეცადოს ამ ფონდის იმ ზომამდე გადიდებას, რომ მისი მეოხებით შესაძლებელი იქნეს, გარდა იმისა, რასაც საჭიროდ გვინიშნავს ბატ. გოგებაშვილი, ჩვენი ქვეყნის თითოეულ მაზრაში დაწესებულ იქმნას, ილია ჭავჭავაძის სახელით ნამდიელ პედაგოგიურ საფუძველზე დაფუძნებული ეროვნული სასწავლებელი, რომ ჩვენი უსწავლელი ხალხის მომავალმა ახალმა თაობამ შეიძინოს ცხოველსყოფელი სწავლა და გონების განვითარება. თუკი იმ ფაქტის წინააღმდეგ არა გვაქვსრა სათქმელი, რომ სწავლა—კოდნა არის ადამიანის ზნეობის განმანათლებელი მზე, — და უსწავლელობა კი დამანებლებელი წყვედი, მაშინ ჩვენ პირდაპირ იმ დასკვნაზე უნდა შეეჩერდეთ რომ მხოლოდ ამ იარაღით უნდა ვებრძოლოთ ჩვენ, როგორც ილიას მკვლელებს, ისე ყოველგვარ ზნეობრივად გამხრწნელ საქციელის ჩამდენთ ჩვენს ცხოვრებაში. გარდა ამისა უმაღლესი პატივისცემა ქართველი ერისაგან თვისი დიდებული პოეტისა და საერო მოღვაწისადმი იქნება ის, თუ მის სახელზე დაარსებულ სასწავლებლებით მოფენს ქართველ უსწავლელ, გაუნათლებელ ხალხში სწავლა-განათლებისა და გათვითცნობიერების შუქს. მაშინ ხომ თვით ილიას ძეგლნი, მის სახელზე გახსნილნი გათვითცნობიერების მომნიჭებელი ტაძრები თავისთავად წესს აუგებენ, შეაჩვენებენ, — და გაისტუმრებენ საუკუნოდ ჯოჯოხეთის უფსკრულში ილიას მკვლელებს და ყოველ გვარ ბოროტ მოქმედებას. — მაშ ვახსენოთ ღმერთი! და ჩვენი დიდებული მიცვალებულის უკვდავ საყოფელად, და ჩვენი უმეცრების გამო ზნეობრივად აღდგენისა, ამაღლებისა და განათლებისათვის, შეუდგეთ გულს-მოდგინეთ ამ დიადი აზრის განხორციელებას. ეინ არ ვიცით რომ ეს ადვილად მოსახერხებელი საქმე არ არის; ხალხის ერთბაშად იმ ზომამდის განათლება ზნეობით ამაღლება-გათვითცნობიერება, რომ თითოეული იმათგანი მთელი თვისი სულიერი და ზნეობრივი აგებულებით, აზრით, თვისებით—მოქმედებით წარ-



მოადგენდეს ნამდვილ სახეს ადამიანისას, ღვთის ხატებისას, ნათესაობისას, დიდი რთული და შიშიე საქმეა... დიდი კუთხის, ენერჯის— შრომის და მასთან ნივთიერი მხრით დიდი მსხვერპლის მომთხოვი რამ არის. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ერთი ჩვენებური ანდაზა: „გაქირვება მიჩვენე და ხელის გამოღებას მაშინ გაჩვენებო“. ჩვენც ამ ანდაზისამებრ უნდა მოვიქცეთ, თუ ჩვენი ერის სიკვდილი არა გვწაღია. სამწუხაროთ გამოცდილება გვიმტკიცებს, რომ ჩვენ ქართველთა განათლებულ კლასს ერთი საყურადღებო ნაკლი აქვს თანდაყოლილი, ე. ი. — სიტყვით ბევრს ლაპარაკობენ, ბევრგვარ პლანს ხატვენ ჩვენი ხალხის გონებრივ სიბნელისაგან გამოყვანის შესახებ და საქმით კი მკირესაც ვერას აკეთებენ. როდესაც რაიმე საერო თავხარდამცემი უბედურება გვეწვევა, მხოლოდ მაშინ გამოახელენ გონების თვალს, მხოლოდ მაშინ დაინახვენ თავიანთ უზრუნველობის ნაყოფს. მაშინ ენითა და კალმით ათასგვარ საერო საქმეებს აკეთებენ. მაგრამ გაივლის ხანი თუ არა, ყველას ავიწყდება, გული უგრილდება. საქმის მაგიერ გვჩრება ხელში მხოლოდ მშვენიერი ფრაზებით მორთულ-მოკაზმული სიტყვები. ეხლა კი დროა მგონია ამ მწარე გაკვეთილმა, ილია ჭავჭავაძის ბარბაროსულად მოკვლამ, კუთხის ჩაგვახვედროს და ეს ნაკლი თავიდან მოგვაშოროს, და რაც ამ აღმაშფოთებელმა უბედურებამ სიტყვით გვათქმევინა, კალმით დაგვაწერია ის საქმით გაგვაკეთებოს. ღმერთმან ინებოს!

ქაიხოსრო გელოვანი.

სარწმუნოებრივ აღსრდის საკითხი ინგლისის ჰირეკულდაწეებით სახალხო შკოლებში.

(დასასრული).

ამ გვართ სჯულის სწავლების მიხედვით ინგლისში ამ ეამათ სახალხო შკოლის ორი ტიპი არსებობს: ერთის მხრით შკოლები, რომელთა გამგეობა და მოვლა პატრონობა ადგილობრივ

საშკოლო კომიტეტების ხელშია; ამ შკოლებში, როგორც ვიცით სჯულის სწავლება ცნობილი ლანკასტერის გეგმით სწარმოებს; ხოლო მეორე მხრით შკოლები, რომელნიც ექვემდებარებიან ინგლისის სახელმწიფო ეკლესიის სამღვდლოებს; ამ შკოლებში სჯულის სწავლება სასტიკ კონფესიონარულ ნიადაგზედა დაფუძნებული. შენახვის მხრით ორივე ტიპის შკოლები ერთგვარ პირობაშია: ინახავს მათ სახელმწიფო ხაზინა ადგილობრივი საშვალეების დახმარებით. შკოლათა რიცხვით და მათში მოსწავლე პატარაების რაოდენობის მიხედვით ადგილობრივი საშკოლო მთავრობა ანუ „კომიტეტი“ და „ნაციონალური საზოგადოება“ ერთმანეთს ბევრით ვერა სჭარბობენ, ასე რომ ინგლისის ბევრთა ნახევარი პირველ დაწყებით სწავლას ღებულობს „კომიტეტი“-ს შკოლებში ხოლო მეორე ნახევარი — სამღვდლოებისაში. მოსწავლე ბავშვთა ასეთი დანაწილება ამ ორ ტიპის შკოლათა შორის საბუთს მისცემს მკითხველს იფიქროს, რომ ინგლისის სახალხო შკოლების მოწაფეთა ნახევარი მოკლებულია საშვალეებს მიიღოს სარწმუნოებრივი აღზრდა თანახმად იმ ეკლესიის სწავლისა, რომელსაც ეკუთვნის. მაგრამ, ნამდვილათ, ეს ასე არ არის და ამაში დარწმუნდება მკითხველი მაშინ, როცა გაიცნობს, თუ რა არის ინგლისის საკვირაო შკოლა.

ინგლისის საკვირაო შკოლის ისტორია მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება. 1780 წელს ქ. გლოჩესტერში ერთმა ინგლისელმა, სახელდობრ რობერტ რეკსმა, დააარსა პირველი საკვირაო შკოლა. ამ შკოლის ერთ მთავარ მიზანთაგანი იყო ღარიბ ბავშვებისდამი ელემენტარული პირველ დაწყებითი სწავლის მიწოდება, ხოლო სულ უმთავრესი მიზანი იყო ქრისტიანული სწავლის პირველი თესლების მოფრქვევა ღარიბ ყრმათა გულში, რადგან ამ მხრით ისინი სრული უფრცობის ანაბარა იყენენ მიგდებულნი. შკოლაში მაცადინებოდა სწარმოებდა მხოლოდ კვირაობით, როცა ბავშვები მოცალეობისა გამო, ტყვილა უბრალოთ დახეტიალობდნენ ქუჩებში.



მოწაფეებს უკითხავდნენ ბიბლიას, — (სახარებას უფრო ხშირათ) უმართავდნენ საუბარს სარწმუნოების სხვა და სხვა კითხვებზე და იმავე დროს ასწავლიდნენ წერაკითხვას. შკოლამ გახსნისათანავე დიდი ყურადღება მიიპყრო ხალხისა, ასე რომ რეკსი იძულებული შეიქნა მოეწვია მასწავლებლები და თავისი საშვლებიდან ეძლია მათთვის გასამრსჯელო. სამი წლის გამოცთილებამ ნათლად დაარწმუნა რეკსი მის მიერ დაწყებულ საქმის დიდს ნაყოფიერებას და სარგებლობაში. თავისი იდეის გასავრცელებლათ მან პირველ ხანებში გამოსცა გაზეთი, შემდეგ კი ამ საკითხის გარკვევასა და მისი სარგებლობის დასაბუთებას რამოდენიმე წიგნაკიც უძღვნა. ამ ახალი საქმის საოცარი სისწრაფით განვითარებამ და ზრდამ გადააქარბა რეკსის მოლოდინს. მართლაც 1785 წელს სდგება „საზოგადოება რომელიც ისახავს თავის მიზნათ რეკსის ტიპის საკვირაო შკოლების დაარსებას და მოწყობას. ათი წლის განმავლობაში საკვირაო შკოლების რიცხვმა ათასამდის მიადწია და მათში მოსწავლეთა რიცხვი კი 60,000 აქარბებს. 1880 წელს, პირველი საკვირაო შკოლის დაარსებიდან ასი წლის თავზედ, მადლიერმა შთამომავლობამ რეკსს ძეგლი დაუდგა ლონდონში. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში საკვირაო შკოლების შემნახველდამაარსებელ „საზოგადოებათა“ რაოდენობა იმდენათ საგრძობელი იყო, რომ შესაძლებელი შეიქმნა ამ „საზოგადოებათა“ კავშირის დაარსება. 1811 წელს საკვირაო შკოლების მოწაფეთა რიცხვი 4,000,000 უდრიდა. ჩვენ აქ არ შეგვიძლია კვალ და კვალ გავყვეთ ინგლისის საკვირაო შკოლების განვითარებას; ავღნიშნავთ მხოლოდ, რომ პირველ დაწყებითი შკოლების თანდათან გამრავლებამ საკვირაო შკოლები დაუქვემდებარა მარტო-მარტო სარწმუნოებრივ-ზნეობრივ მიზანს. წინეთ თუ ამ შკოლებში წერაკითხვასაც ასწავლიდნენ ახლა მათი მოღვაწეობა თელათ სარწმუნოებრივი განათლების გარშემო ტრიალებს. საკვირაო შკოლითა არსებობის მოქალაქობრივი უფლება იმდენათ განმტკიცდა ინგლისში, რომ

ერთი მწერიალი სამართლიანათ შენიშნავს: „საკვირაო შკოლების საქმე იდენათ გართულდა, მათმა არსებობამ ისეთი ღრმა ფესვები გაიკეთა, რომ ის შეადგენს თელი სოციალური შენობის ქვაკუთხედთაგანს“. მართლაც თანახმათ იმ ცნობებისა, რომელნიც წარმოდგენილ იქმნენ 1908 წელს ლონდონში შემდგარი ზნეობრივი განათლების საერთაშორისო კრებაზე და რომელნიც ეხებიან 1906 წლის ვითარებას, ინგლისში საკვირაო შკოლების მოქირანახულეთა ლაშქარი უდრის 700,000, ხოლო მათ მოწაფეთა რაოდენობა 7,500,000 აღემატება\*). ეს ციფრები თავის თავათ მჭერ მეტყველობენ და არავითარ განმარტებას არ საჭიროებენ. თუ ამას დაუმატებთ იმ გარემოებას, რომ 700,000-ანი ლაშქარი საკვირაო შკოლების მასწავლებელ ქალთა და ვაჟთა არავითარ გასამსჯელოს არ ლებულობს თავის შრომისათვის და ემსახურება ამ საქმეს თვით საქმის სიყვარულისა და თანაგრძობის ზეგავლენით, მაშინ ჩვენთვის ცხადი იქნება, თუ რამდენათ ძლიერია რელიგიური რწმენის გავლენა თანამედროვე განათლებულ ინგლისში. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ზემოთ მოყვანილ ციფრებში არ შედიან კათოლიკურ ორგანიზაციების საკვირაო შკოლები, რომელთა რიცხვი უნდა შევნიშნოთ, მცირეა შედარებით, რადგან კათოლიკური სამღვდლოება ერისკაცების სწავლების საქმეში მონაწილეობის მიღებას ექვის თვალთ უყურებს.

რას წარმოადგენს ინგლისის თანამედროვე საკვირაო შკოლა? ეს ისეთი დაწესებულებაა, სადაც კვირაობით და ხშირათ შაბათობითაც (ინგლისში შაბათობით შკოლებში სწავლა არ არის) იკრიბებიან საშკოლო ჰასაკის ბავშვები და აგრეთვე მათედ უმურო მოზრდილნიც, რომელთაც დიდები (ერისკაცნი და სამღვდლოთაგანი) უკითხავენ ბიბლიას და უმართავენ წაკითხულის გამო სარწმუნოებრივ-ზნეობრივ შინაარსის საუბარს. ჩვეულებრივ ეს საკვირაო შკოლები დაკავშირებულნი არიან ამა

\*) ეს ცნობები ამოღებულია პ. გ. მიქუევის „Современная жизнь въ Европѣ и Америкѣ“-დან.



თუ იმ აღსარების მიმდევართა საზოგადოებასთან. ამიტომ ამ შკოლებში ასწავლიან სამღვთო სჯულს დოგმატიურათა; და ამგვარათ, ივეება ამ მხრით ის ნაკლი, რომელიც ამ საგნის სწავლებაში არის გათვალისწინებული ინგლისის ზოგიერთ შკოლებში. ღირსია აღნიშვნისა ის გარემოება, რომ საკვირაო შკოლების მოთავეები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ შესაფერი ზნეობრივი გავლენა იქონიონ არა მარტო პატარაებზე, არამედ მუშათა კლასის ახალგაზრდებზედაც. ამიტომ ხშირათ შკოლებთან არის გაწყობილი ახალგაზდა მუშათა წრე, რომელიც მართავს სხვა და სხვა ზნეობრივათ არა დასაგმობ სათამაშოებს, რომელნიც აგრე გავრცელებულია ინგლისის ხალხის ყოველ ნაწილში. ერთი სიტყვით საკვირაო შკოლების მოღვაწენი არ ზოგავენ არავითარ ზნეობრივ საშვალებას, რომ მათმა შკოლებმა მეტათ დაიმსახუროს ყურადღება და მეტი გავლენა იქონიონ მოზარდსა და უკვე მოზარდულ თაობაზედ. თუ შენიშნეს შკოლაში მოსიარულეთა უკიდურესი ნივთიერი ხელმოკლეობა, მათ შემწეობას აძლევენ, რითაც, რა თქმა უნდა, უფრო მტკიცდება და მკვიდრდება ზნეობრივი გავლენის გავლენა. ჩვენი ქვეყნის მკვიდრისათვის ყოველივე ამის ნათლათ წარმოდგენა ძნელია, რადგან არაფერს ამის მსგავსს ის არ ხედავს მის გარშემო, ამ წარმოდგენას კიდევ ის აძნელებს, რომ ინგლისის საკვირაო შკოლა ცოცხლი მოძრაი და რაიმე განსაზღვრული წესებით შეუზღუდავი დაწესებულებაა. ინგლისის სხვა და სხვა ნაწილში სხვა და სხვა გამოხატულობის ერთ წერტილზედ არ არის გაყინული, დროს შესაფერათ იცვლება და ვითარდება თავისი მთავარი მიზანის შეუცვლელიათ.

დასასრულ უნდა აღნიშნოთ ორი, — ჩვენი სამღვდლოებისა და მოწინავე საზოგადოებისთვის საყურადღებო მოვლენა. პირველი ისა, რომ ეკლესიის მსახურნი სრულიად არ ერიდებიან სხვა და სხვა ხალხის ცხოვრების პირობებში გამომდინარე პრაქტიკულ საკითხებს; პირ-<sup>მეორე</sup>ით, ისინი დიდის ხალხისათვის ლეზულობენ

მონაწილეობას ღ ხშირად ხელმძღვანელობასაც უწყვეტ ყოველ ისეთ საქმეებში, რომელნიც მიმართულნი არიან სოციალურ-ეკონომიურ საკითხებთან დაკმაყოფილებისკენ. რა თქმა უნდა, ამას ხელს უწყობს პირველათ ინგლისის სამღვდლოების თანამედროვე გართულებულ-გამრავალფეროვნებულ ცხოვრებისთვის შესაფერი გონებრივი მომზადება; ხოლო მეორეთ ისა, რომ ჩვენ სამღვდლოებასავით მოქალაქობრივი მონა კი არ არის იქაური სამღვდლოება, არამედ სახელმწიფოს სრულ უფლებიანი მოქალაქე. ეს სრულ უფლებიანობა მოღვაწეობის ფართო სარბიელს უშლის წინ ინგლისის სამღვდლოების ცხოვრებას ყოველ დარგში, განსაკუთრებით კი განათლებისაში. მეორე მხრით საგულისხმოა, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნისთვის, ის ფაქტი, რომ ინგლისის მოწინავე საზოგადოება, ანუ ჩვენში მიღებული ტერმინოლოგიით, მოწინავე ინტელიგენცია, სრულიად არ გაურბის სარწმუნოებრივ საკითხებს. ამ სიტყვების დასამტკიცებლათ ჩვენ აქ მოვიყვანთ მხოლოთ ერთ მაგალითს, მაგრამ მაგალითს ნიშანდობლივს, რომელსაც ხელათ გადაეყვართ სულ სხვა გვარ საზოგადოებრივ ატმოსფერაში. იმ ცნობებელამ, რომელნიც ზემოთ მოხსენებულ ლონდონის ზნეობრივი აღზრდის საერთაშორისო კონგრესზედ იყო წმომდგენილნი, სჩანს, რომ ინგლისის სოციალისტებსაც აქეთ თავიანთი საკვირაო შკოლები, რომელნიც მიზნის მიხედვით არ განირჩევიან საზოგადო ტიპის საკვირაო შკოლებისაგან. აქაც ბოჭებებს უკითხავენ ბიბლიას, განსაკუთრებით კი სახარებას, და უხსნიან წაკითხულს სარწმუნოებრივ-ზნეობრივი მხრით. განსაკუთრებული ყურადღებით კი ეპყრობიან ქრისტიანული მორალის ქვაკუთხედს — „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი“ ახსნასა და დასურითხატებას. რაცა მოწაფეები, ჯერ კიდევ ძლიერ პატარაებია, მაშინ ქრისტიანული სწავლის ამ მთავარ პრინციპს უხსნიან სხვა და სხვა მწერალთა თხზულებათაგან ამოღებულ შესაფერი ადგილებით და დიდებულ საზოგადოებრივ მოღვაწეთა და კაცობრიობისთვის თავდადებულ პირ-



თა ცხოვრებიდამ ამოკრეფილი მაგალითებით. ხოლო შემდეგ, როცა ბავშვები უკვე მოიზრდებიან, მაშინ მათ აცნობებენ სხვა და სხვა რელიგიურ სწავლას, განსაკუთრებით კი ქრისტიანულს და უმარტავენ ამ უკანასკნელის დიდს უპირატესობასა შედარებით სხვა სარწმუნოებასთან.

ამ გვარათ არის მოწყობილი სარწმუნოებრივ-ზნეობრივი აღზრდა ინგლისის საკვირაო სკოლებში.

მლ. ლო — ტი ჩხაიძე.

15 მარტი, 1912 წ. ს. ლანიბი.

## მატერიალიზმი. 1)

(დასასრული)

მატერიალიზმის არეულობა უფრო ცხადათ სჩანს მის მტრულ განწყობილებაში სულის დეტაბრიობისა და, საზოგადოთ, რელიგიისადმი. ობსკურანტები,\*) ბრიყვები, სინათლის მტერნი, ხალხის გზის ამბნევი ფარისევლები, აი მისი საყვარელი სიტყვები რელიგიის წარმომადგენელთა მიმართ. მაგალითად, ვისაც სასწაული სწამს, შპილლერი „უჩლუნგეს ადამიანს“ უწოდებს; უცნობი ავტორი „Bekennnis“ eines modernen Naxurfor schers“ ამტკიცებს, რომ ყველა იმ ლოცვებს, რომლებიც კი წარმოთქმულია ამ ქვეყნად, არ უხსნია ადამიანი არცერთი წვეთი მწუხარებისა და ტანჯვისაგან. მაგრამ ათიათასი პატროსანი ადამიანი თავის გამოცდილებით სულ წინააღმდეგს მოწმობენ. ცნობილი ავტორი „kraft und stoff“ დადაბებს: „არა, არ არის არც ბოროტი სულები და არც სხვა სულები“ ნეტა საიდგან იცის ეს მან? და ამას უწოდებენ კიდევ მეცნიერულ გამოკვლევის, მიუდგომელ მეცნიერებას! ეს შური, ეს გაბოროტება სარწმუნოების წინააღმდეგ არაფერს გვეუბნება მატერიალიზმის სასარგებლოდ, წინააღმდეგ, იგი მოწმობს მის სისუსტეს და უძლიერებას. როგორ შეუძლია მატერიალიზმს, რომ ბუნების კანონთა შემწეობით სძლიოს ქრის-

ტეს კანონებს, ბუნების ძალებით — „უმალღეს ძალას“, მეცნიერულ კამათით აღემატოს სულიწმიდას, დიფერენციალებით და ინტეგრალებით — სარწმუნოებას და სასოებას? თვით იგი მშვენიერად გრძნობს, რომ თვით უსასტიკესი არტილერია მისი საბუთებისა ვერ გაუძღვებს ქრისტიანობას და რომ ყოველი ქრისტიანე მძლე გამოვა მასთან ბრძოლაში. ან რით შეუძლია მატერიალისტს სძლიოს მას?

ასეთ წინასწარ სარწმუნოებისმიმართ მტრულ განწყობილობით მატერიალისტი ძიულ ეწინააღმდეგება თავის საკუთარ მსოფლმხედველობას. თუ მივიღებთ (როგორც მატერიალისტები ლებულობენ), რომ ყველაფერი, რაც კი არსებობს აუცილებელი ნაყოფია რაღაც, თუმცა ცნობიერებას მოკლნულ, მაგრამ მაინც ლოლიკურად მოქმედ, მატერიისა, მაშინ ესევე შეგვიძლია ვსთქვათ ქრისტიანობაზედაც, როგორც ყოველ სხვა რელიგიაზე (ე. ი. რომ რელიგია ან სარწმუნოება აუცილებელი შედეგია მატერიისა და, როგორც ასეთი, უარსაყოფი არ არის); და მაშინ მატერიალისტი მთელი კვეყნიერების მპყრობელ ქრისტიანობას უნდა უყურებდეს, როგორც მისი საყვარელი სამარადისო მატერიის ძალის გამოჩინებას. „რაც არსებობს, გონიერულიც არის“. გველის ამ თქმულებას მატერიალისტებიც უერთდებიან, როგორც მაგალითად შპილლერი. მაგრამ მაშინ ხომ ყველა რელიგიები გონიერულია. თუ ვიტყვი, ტინდალთან ერთათ, რომ რელიგიურ წარმოდგენების დასაწყისები გაფანტულნი იყვნენ პირველყოფილ ანთებულ ნისლოვანში, მაშინ რა დანაშაულნი არიან ქრისტიანები, თუ ეს დასაწყისებიც აგრეთვე იყვნენ და გაცილებით უფრო მტკიცეთ მოწყობილნი, ვიდრე მატერიალისტურ შეხედულებათა დასაწყისები.

მაგრამ ეთქვათ, რომ რელიგია დამყარებულია ცრუ წარმოდგენებზე; მაინც მატერიალისტი, რომელსაც სწამს, რომ ოდესღაც მსოფლიოს ენტროპიის დროს, ყველა ცნებები და წარმოდგენები, მართალი იყოს თუ ტყუილი, გარდიქმნიებიან წყალმზადის ნისლათ, ვალდებულია აუღველებლათ ებრძოლოს ასეთ სიცრუეს.

1) იხ. შინ. საქ. № 14.

\*) მტრები განათლებისა.



თუ მოხდა, —რის მაგალითსაც ბევრს ვიპოვით ისტორიაში, — რომ მსგავსი ცრუ წარმოდგენები ათი-ათასსა და მილიონ ადამიანებს იმორჩილებენ, ასე რომ იგინი მოთმინებით ცხოვრობენ და მორჩილობით კვდებიან, მატერიალისტი სიხარულით უნდა ეგებებოდეს ასეთ ცრუ წარმოდგენებს, როგორც ცხოვრების სიმწარის დამატკობელს მშვენიერ საშუალებას.

ლოლიკური მსჯელობა რომ ვიხმაროთ (სწორეთ რომ გავსაჯოთ) იგი არა თუ ყოველ ტანჯულს უნდა უჩვენდეს მას, არამედ თითონაც უნდა ღებულობდეს ამ საშუალებას, რომელიც ბევრისაგან ნაცადია, რადგან ჯერ კიდევ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მატერიალისტი ისე მომკვდარიყოს, რომ სიხარულით მისცემოდეს სამარმდისო მატერიას, სასოება და მყარებული მსოფლიოს ენტროპიაზე.

მოვიგონოთ თქმულება: „ნაყოფთა მათთან სცნათ იგინი“. რომ შეადაროთ ორი უმთავრესი მსოფლმხედველობა, საღვთისმეტყველო და ათეისტური, განცვიფრებაში მოდიხარ პირველის ღირსებით და მეორეს ნაკლულევანებით. უკვე ეს ერთი ფაქტი საკმარისი იქნებოდა დაგვერწმუნებია პირველი თეორიის სიმართლეში და მეორის სიცრუეში. ის პირები, ვისაც დროს და განათლების უქონლობა ნებას აძლევენ შეადარონ ორივე სისტემები თავის ფილოსოფიური ღირსებით. სად და როდის გაკეთდა რაიმე დიდებული, კეთილი და მშვენიერი, რაც დაფუძნებული არ ყოფილიყოს ღვთის უკვდავების და საუკუნო მისაგებელის რწმენაზე, რომ გარდა ამ ხილული, შესახებელი, ნივთიერი და გარდამავალი წუთისოფლისა არის კიდევ უმაღლესი და სამარადისო ქვეყანა, რის სიმბოლოსაც (ნიმუშს) წარმოადგენს ეს ხილული ქვეყანა! რა იყო მიზეზი, რომ ხალხები ხდებოდნენ ბედნიერი, ძლიერი და იხვეჭდნენ პატივისცემას? მხოლოდ ის, რომ იგინი წინ აყენებდნენ იდეალურ სიკეთეს, — სიმართლეს, სათნოებას და სხვა, და არა ნივთიერ განცხრომას. როდის, რა გარემოებებში ჰკარგავენ იგინი გაბედულ ენერჯიას და წმინდა ზნეობას? როდის ჰკარგავენ ისინი ძლიერებას, გულდა-

ჯერებულობას და ხასიათს და ხშირათ იხრჩობოდნენ და ირყენებოდნენ შეძენის წყურულში და ხორციელ განცხრომაში? მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა მატერიალისტებად ხდებოდნენ. ყველა ეს საზოგადოთ ცნობილი ისტორიული ფაქტებია და ვერავითარი მატერიალისტის, თუნდ ხუთი მტკაველი შუბლიც ჰქონდეს, კრიტიკა ვერ შეიძლება მათ შერყევას. სად არიან ახლა ყველა დიდებული ათეისტები, სად არიან ათეიზმის მამათ მთავრები, წინასწარმეტყველები, მოციქულები, გამრები და სჯულისმდებლები? განა წამოაყენა მან ისეთი კაცი, რომელსაც გაეტაცებოს ას მილიონობით ხალხი? შეუძლია მას, უჩვენოს თავის წრეში სჯულის მდებლები, მსგავსი სოლონისა და ლიკურგისა, მოსეხედაც რომ არაფერი ვთქვათ, რომლის რკინის კანონს ემორჩილება მთელი ხალხი სამიათას ხუთასი წლის განმავლობაში? აბა თუ ყავს მას პოეტები, მსგავსი ჰომეროსისა და შექსპირისა? განა შეუძლია მას გვიჩვენოს თავის წრისაგან ერთი მაინც ხელოვანი მსგავსი მიქელ ანჯელოსი, რომელიც ერთ და იმავე დროს იყო მწიგნობრმეტყველ, მხატვარიც, ხუროთმოძღვარიც და პოეტიც, რომლის სონეტები ღვთისადმი მხურვალე ლოცვებს წარმოადგენენ, ანუ მსგავსი ბახისა, რომელიც გულსმოდგინე ქრისტიანე იყო და დიდებული მუსიკოსიც, ან მსგავსი გენდელისა და გაიდენისა? როგორ უნდა შეუთანხმოთ ეს გარემოება მატერიალისტების ჩვეულებრივ მტკიცებას, რომ რელიგია ასულელებს ადამიანსო.

ყოველივე მაღალი, დიადი და სამარადისო გამოთქმულია მორწმუნე ადამიანებისაგან. ყველა ქვეყნის მპყრობელებს, ცნობილ სახელმწიფო კაცებს, სჯულის მდებლებს, პოეტებს, ხელოვანებს, ბრძენებს და სწავლულებს, რომელთა ჰკუის სამკვიდრებელით სარგებლობს კაცობრიობა 4,000 წლის განმავლობაში — ყველას მათ სწამდა ერთი ღმერთი! და განა ეს ადამიანები, რომელთა სახელები აღმასის ასოებით არიან ჩაწერილნი ქვეყნიერების ისტორიის კაბადონზე, წინასწარმეტყველები, მოციქულები, — ეს ადამიანები განა ბოძებნი და და სულელნი იყვნენ?



# რა შევინანო?

(მასიხად თ. ჟორდანიას).

„შეინანეთ, მამაო, „ნაქულბაქველო მოძღვარო“ თქვენი დანაშაული, სახელ-გვარი თქვენი გამოაცხადეთ, ბოდიში მოიხადეთ, სანამ თქვენს სალანძღავ-სათრევ წერილს სხვა მსვლელობა არ მიეცემა-“ო, ასე მოგვემართავს ბ. თ. ჟორდანიას იმ წერილის გამო, რომელიც ჩვენ უძღვევით მას ამ წლის „შინაური საქმეები“-ს მეცხრე ნუმერში.

შევნება დანაშაულისა და ბოდიშის მოხდა უსაფუძვლოდ შეურაცხყოფილის წინაშე დიდებული თვისება ადამიანის სულისა და ჩვენც სიამოვნებით შევისმენდით ბ. ჟორდანიას დარიგებას, რომ ვიცოდეთ რა შევინანოთ? ნუ თუ სასინანულო და საბოდიშოა ის გარემოება, რომ უმეტნაკლებოდ ამოვწერე და გამოვაქვეყნე, რაც საკლასო დღიურში, ან დავთარში სწერია, დავთარში, რომელიც წლის განმავლობაში არა ერთხელ და ორჯერ სჭერია ხელში ბ. ჟორდანიას!. თუ ბ. ჟორდანიას აზრით ეს დავთრები სრულებით სახეში მისაღები არ არიან და მათი არსებობის აზრი მხოლოდ ის არის, რომ ვიღასაც თვალები აუხვიონ, მაშინ რომელ დოკუმენტებს ვენდოთ? „ჩემგან ხელმოწერილ ყოველდღიურ ვაკეეთილების სიასო“, გვიპასუხებს უსათუოდ მისი უაღმატებულესობა, მაგრამ საიდგან დავრწმუნდეთ, რომ ეს სიაც სწორეთ საჩვენებლად, თვალების ასაბმელად და მოსატყუებლად არა ჰქონდა მას გამოკიდული კედელზე? არა, საკლასო ჟურნალი „შკოლების მეთვალყურის პროგრამის მაჩვენებელი დოკუმენტია და ჩვენ რა შუაში ვართ, ჩვენ რა გვაქვს საბოდიშო, თუ ამ დოკუმენტში ის არ სწერია, რაც დღეს ესაჭიროება დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკს თ. დ. ჟორდანიას.

ბ. ჟორდანიას შეკოდებულ ადამსაერთო ბოდიშობს: მე როგორ უღალატებდი ქართველ ბავშვებს და როგორ დაეაწყებინებდი მათ სასწავლებელში თავის შეყოფისთანავე რუსული წერა-კითხვის სწავლებას ჩემთვის რომ მოეხსენებიათ ეს გარემოება ან მასწავლებელს,

ან გურია-სამეგრელოს სამოსწავლო საბჭოს წევრს ი. ფანცხავას, ან შკოლის გამგეს მლ. კ. ქანტურაიას, ან ადგილობრივ ბლადოჩინს, ან მაზრის მეთვალყურეს დეკ. კ. გაწერელიას და ამიტომ ჯვარს უნდა ეცვას ჯერ ეს კანონის დამრღვევი უბადრუკი მასწავლებელი და მერე ჩამოთვლილი პირებიო.

მასწავლებელი, რასაკვირელია, დაბალი ღობეა და მისი გაქელა ყველას შეუძლია, მაგრამ ქიანქველას რომ ფეხს დაადგამ, ისიც გაიფხანკალებს და იმედი გვაქვს, რომ ეს პატარა კაცი მოქალაქობრივ გაბდულებას გამოიჩინოს და ყველას ნათლათ დაგვანახებს ჟორდანიას სიტყვების უნიადაგობას,

ამასავე მოველით შკოლის გამგე დეკ. კ. ქანტურაიასაგან, რომელსაც ბ. ჟორდანიას „მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა“ დღეს „უბიწობის“ მოწმობასაც აძლევს, თუმცა წინეთ, როდესაც მ. ქანტურაია ფოთში გადმოსვლას ცდილობდა, პირველი მისი მოწინააღმდეგე, როგორც ვითომდა ყოვლად უღირსი მღვდლისა, ბ. ჟორდანიას ბძანდებოდა და, ღმერთო ნუ მიწყენ, ვგონებ ამაზე „ლაპორტიკ“ შეიტანა, სადაც და ვისდამიც ჯერ იყო.

მივიღოთ დროებით ჟორდანიას რწმუნება, რომ ფოთის სასაფლაოს ეკლესიის შკოლის მასწავლებელი პირველ ხანებში მართლა გამოუცდელი იყო და ამიტომ სამრევლო შკოლაშიც იმავე გეგმაზე დაუწყო ბოვშეებს სწავლება, როგორცედაც სამინისტრო შკოლებში ასწავლიდნენ, მაგრამ შემდეგში ხომ ყოველთვის ქება-დიდებით იხსენიებდა თვით ჟორდანიას ამ მასწავლებელს და როგორ აეხსნათ, რომ ბოლო დრომდინ მასწავლებელი იმ პროგრამას ადგა, რომელიც ნაჩვენები გვაქვს ჩვენს წერილში? არა და დაე ეს გამონაკლისად ჩავთვალოთ, საკათედრო ტაძრის შკოლაში; ზუგდიდისა, სენაკისა და ოზურგეთის მაზრების სასწავლებლებში რაღათ იყო სწორეთ ამ გვარადვე დაყენებული რუსული ენის სწავლება? ამ შკოლებს რაღა მოსაზრებით არ უყეთებდა ბ. მეთვალყურე „ცხარე რევიზიას“?

ჟორდანიას ვაბმული ბაასი პირველი გან-



ყოფილების ჯგუფების თაობაზე წყალწყალა „ზლაპარია და, რასაკვირველია ასეთი „იწილო ბიწილო, შროშანა გერიტინო“ არავის არაფერს არ უმტკიცებს. ვიქონიოთ მოთმინება, და იქნება, ეს ჯგუფების ისტორიაც გამომჟღავნდეს.

მეორე მუხლად ბ. ჟორდანიას მე უწერდი — ქართველების გარუსების საქმეში იგი, — ჟორდანია, — ვოსტორგოვს თავზე გადაახტამეთქი. მაგრამ ესეც შეურყეველი ქეშმარიტებაა და მე რა ჯანდაბა უყო სინამდვილეს, როგორ შევეცადო სხვაფერად? სუყველაფერს რომ ხელი დავაფარო, ყველაფერზე რომ თვალები დავიბრმავო, ამის დამამტკიცებელი მრავალი საბუთები რომ არ დავასახელო, მხარს ვერ აუტყვევ თითონ ვოსტორგოვის მოწმობას, რომელსაც სულ შენთხვევით წავაწყდი ამ დღეებში უმაღლესად დამტკიცებულ სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების წინასწარ სხდომების მეორე განყოფილების ოქმებში. იხილოს ბ. ჟორდანიამ „Журналы и протоколы заседаний Высочайше утвержденного Предсоборного Присутствия“, III. ტომი, 74—75 გვერდი და თუ ვოსტორგოვის ნათქვამი ჟორდანიას შესახებ ჩემს ნათქვამს არ აღემატება, მისცეს ჩემ წერილს, როგორც თითონ ბძანებს „სხვა მსვლელობა“, ე. ი. მიჩივლოს სადაც ნებაეს, თუ არა და მე რა ბრალი მაქვს, გარდა სხვის ნათქვამის გამეორებისა. რაც მე ვთქვი, იმის თქმა შეეძლო და შეუძლიან ჩემს ფერს გოჯასპირს, ფარნას, ჯოყნას, კინტირიას, და სხვ.

საქმის არსებითი მხარე საჭიროდ არ ხდის ჟორდანიასთვის ჩემი სახელგვარის გაგებას, ამითი ჟორდანია ვერ ამოფხეკავს საკლასო ყურნალიდან და დასახელებული საეკლესიო კრების წინასწარი სხდომების ოქმებიდან იმ ცნობებს, რომლებითაც, მისივე ლექსები რომ ვიხმაროთ, იმურება მისი ზნეობრივი ფიზიონომია. აი ეს მური უნდა ჩამოირეცხოს მან წმიდა წყლით მკითხველი საზოგადოების წინაშე საბუთებით და არა ლითაიებით და შე, ნაქულობაქვეელი მოძღვარი, გაშავებული ცილისწამების ნახშირითა და მქვარტლითა, დამსაჯოს სა-

ზოგადობამ და მისმა უაღმატებულესობამ ზნეობრივად. თუ ბ. ჟორდანიას სურს საჩივარი სასამართლოში, იჩივლოს, მე ჩემს ვინაობას არ ვაცხადებ და მოპასუხეთ „შანაური საქმეების“ რედაქტორი გამოვა. ჩვენ კი უმორჩილესად ვთხოვთ კიდევ ბ. თ. ჟორდანიას მიგვახვედროს, რა შევინანოთ?

**ნაქულობაქვეელი მოძღვარი.**

მისი ყოველად-უსამღვდელოესობის დაპით ალექსანდრის მისმომომის მოგზაობაზე და წიკვა თუ-მეზში სოფელ გიმო ალანის წმ. სამების ეკლესიაში, 1912 წ. მარტის 27 დღეს.

მათს მეუფებას მიეგება ალავერდის საკრებულო ტაძარში ათი საათის ნახევარზედ ჩაღმების მღვდელი. მ. არჩილ ფოფხაძე. ათი წუთის შემდეგ მას მოყვა ცხენოსანი თუშნი, ქვემო ალვანის მამასახლისი თავის საზოგადოებით და ზემო ალვანის მამასახლისი თავისივე საზოგადოებით. დაიძრა თუ არა მღვდელ-მთავრის ეტლი მას თან გაყვა მშვენიერად გამოწყობილი და ძველთაგანვე სახელ-განთქმულნი თუშნი მწყობრად, 50 კაკამდის. ათ საათზედ გაისმა ზარის ხმა. ზარის ხმის გაგონებაზე ყველამ ეკლესიისკენ გასწია და გაივსო დიდებული ტაძარი ხალხით და მოუთმენლათ მოელოდნენ ეპისკოპოსის მოსვლას. მოჩნდნენ ცხენოსანი თუშნი ეპისკოპოსის ეტლის წინ. უკან ეტლს მოსდევდა დიდ-ძალი ცხენოსანი ხალხი. ეკლესიის ეზოში დადგა მღვდელ-მთავრის ეტლი. მათს მეუფებას დახვდა ბლალაჩინი მ. გიორგი ინავეი, აღგილობრივი მღვდელი მ. გიორგი ბალიაური და სხვა სამღვდელოება. მღვდელ-მთავარი პირდაპირ ეკლესიაში გაემგზავრა. ეკლესია და მთელი ეზო ხალხით იყო სავსე. შემობრძანდა მათი მეუფება ტაძარში და გაისმა დიდებული საამო ვალოობა. ხალხი სმენათ იყო გადაქცეული, სუნთქვაც არსაიდგან ისმოდა, ასე ეგონებოდა კაცს, რომ ეს დიდებული ტაძარი მარტო ამ სამს კაცს დარჩომიაო. აბძანდა მათი მეუფება კათედრაზე, რომელიც მშვენიერათ იყო მოკაზმული. დაიწყო წირვა მათმა მეუფებამ. გალობდა სამ-ხმოვანი გუნ-



დი: მთელს კახეთში განთქმულნი მ. არხ. შავლიევი, მღ. მ. ვ. მაისურაძე და მღ. ონისიმე ქიკაძე. თანამწირველნი იყვენ მათის მეუფებისა შუამთის მონასტრის ილუმენი მ. ნიკოლოზი, ყველასგან კარგათ ცნობილი ბლადოჩინი მ. გიორგი ინაევი და ადგილობრივი სამღვდელოება. დიდძალმა მლოცვემა მოიყარა თავი. ეკლესია ველარ იტევდა. ბევრი მოხუცი თუში ამბობდა, მადლობა ღმერთს, ჩვენც წილი გვქონია ღმერთთანაო, ეპისკოპოსი არც კი ეიცოდით, რა იყო, ახლა კი გვწამს, რომ ჩვენც გვეყოლია ხალხისთვის გულშემატივარი მღვდელმთავარი. გაგონებითაც არ გვსმენია აღვანში ეპისკოპოსის წირვაო. წირვის შემდეგ წარმოსთქვა სიტყვა მათმა მეუფებამ, რომელშიც თუ შეგს გონებრივ ღეკონომიურ წარმატებასთან ერთათ განსაკუთრებით, უსურვა სიყვარულისა და მშვიდობის გამტკიცება იმათ ცხოვრებაში. წირვის გამოსვლისთანავე მისი მეუფება მიიწვიეს საგანგებოთ მოწყობილ სახლში სადილათ. მათს მეუფებას ახლდნენ ყველასგან პატივცემულნი ილუმენი. მ. ნიკოლოზი, თელავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწე ბატონი მიკ. მაშინაშვილი, ბ. ვ. კახიძე, პოდატნი ისპექტორი. მათი მეუფება ინახულეს ბევრმა გამოჩენილმა თუშმა, სხვათა შორის აქით ყველასგან კარგათ ცნობილმა დავით ბუქურაულმან, მასწავლებელთ ვ. ბაბოშვილმან, ვ. ქააძემ და ციხკარაშვილებმან. სადილზე მრავალი სიტყვები წარმოითქვა. დიდებული სიტყვა სთქვა ბ. ვ. კახიძემ, სიტყვები სთქვეს: ბოქაულმა ალ. მათურელმა, ბლადოჩინმა მ. გიორგი ინაევმან, ადგილობრივმა მღ. მ. გიორგი მაღაურმან, ვანო ქააძემ გიორგი ბაბოშვილმან და მამასახლისმა იოსებ უშარაულმან. სხვათა შორის დაესწრო თავადი ჩოკაშვილი. ხუთ საათზე მათი მეუფება გამოემგზავრა ეტლით შუამთის მონასტერში ნასიამოვნები. დიდძალმა ცხენოსანმა თუშებმან გამოაკილეს ალავერდამდის. მათმა მეუფებამ კვალად აკურთხა იგინი და უბრძანა: მშვიდობით იყავით, ნუ დაივიწყებთ ერთმანეთის სიყვარულსაო.

**ვანო ლაგაზიშვილი.**

**ვანო ჭააქიის სიტყვა.**

„თქვენო მეუფებავ! ვისურვებ. რომ ჩვენს ხალხში განმტკიცდეს წმინდა სიყვარული მღვდელმთავრისადმი. გულითა და სულით მოხარული ვარ, რომ ინახულეთ ჩვენი პატარა აღვანი თავის ხალხითურთ და მოიღეთ თქვენი მღვდელ-მთავრული ლოცვა-კურთხევა. გიძღვნით მადლობას, ვისურვებთ დღეგრძელობას, და გთხოვთ, თქვენო ყოვლად-უსამღვდელოესობავ, ნუ იფიქრებთ, რომ ვითომ ხალხს მხარი აეკციოს თქვენი მობრძანებისთვის. არა, მიეგება ფრიად წრფელი გულით, ხოლო, თუ ასეთი დღეს ვერაა გამოხატული გარეგნული ცერემონიებით, ეს შედეგია განათლებისაგან შედარებით ჩამორჩენილი მღვდმარეობისა და აქედან გამომდინადე უეცობასა. ნუ მიიღებთ, რომ ვითომ ჩვენი ხალხი სარწმუნოებრივად გადაგვარებულ გზაზე იყვეს დამღვარი ნასწავლთა ზეგავლენით და მისთვის დღეს თქვენ გარშემოდან გაბნეული, არამედ გვერწმუნეთ, რომ მუდმივ ხალხთან ახლო მდგომი და განუშორებელი ნასწავლი ვინცაა, ის ასწავლის, რომ სიყვარული, კეთილი განწყობილება და ურთიერთობა მკვიდრი და არა დამრღვევი საფუძველია, ქრისტე მაცხოვრის მოძღვრებისა და ამ მოძღვრებისთვის მსახურება აუცილებელი და პირდაპირი მოვალეობაა, ჩვენი როგორც ქრისტიანთა.

**წოვის მამასახლისის იოსებ უშარაურის სიტყვა.**

აქა კრებულნო და ჩვენო მეუფე გთხოვთ ერთი სიტყვის ნება მომცეთ.

მე ვიქნები ოცდათორმეტის წლისა და ამ 32 წლის განმავლობაში, თუმცა გამეგონა ეპისკოპოსი, მაგრამ თვალთ კი არ მენახა, და უთუოთ სხვათა შორის, კიდევ იქნებიან მრავალნი პირნი და არიან კიდევ უფრო მომეტებული, ჩვენს ქვეყანაში, რომ ეპისკოპოსი არ ენახოს, და არც იცოდენ ვინ არის და ან რასა ჰქვია ეპისკოპოსი, ესე იგი მღვდელმთავარი, და ამაზედ ჩემ საბედნიეროდ, გავიგე როგორც მამასახლისი რომ, ეპისკოპოსი მობრ-



ძანდება მარტის ოქტაშვიდში, ზემო ალვან-ში, წმინდის სამების ეკლესიაში და თვითონ უნდა იყვეს მწირველიო. რა საკვირველია მე მომეცა განუსაზღვრელი სიხარული, რადგანაც სულითა და გულით მინდოდა გამეცნო ჩვენი მეუფე, მღვდელმთავარი წმინდა ალავერდის დავით ეპისკოპოსი. თუმცა მოხარული ვიყავი, გაცნობისთვის და ნახვისთვის, მაგრამ, როგორც გამოუცდელი კაცი, თვით კი არ ვიციდი თუ როგორ უნდა მივგებებოდი, და ან დავხვედროდი ღირსეულათ, როგორათაც შეჰფეროდა ჩვენს უწმინდეს მეუფე დავით ეპისკოპოსს. სხვათა შორის თუმცა საერთოთ მთელს თუშებს უნდოდათ, რომ სულითა და გულით დახვედროდნენ, მაგრამ, როგორც უცოდინარი და გამოუცდელი ხალხი და, აგრეთვე არ იცოდნენ ვინაობა, ამაზედ ეხლა არიან შენანებულნი.

ამაზე, მეუფევ, ჩემის მხრიდან თქვენს წინაშე მუხლმოდრეკით ბოდიშს ვითხოვ, ჩვენო ყოვლადუსამღვდელოესო, ჩვენო წმინდაო სულის მამავ და ჩვენო მოწყალეო მეუფევ.

ზეციერს მამა ღმერთსა ვსთხოვ რომ კიდევ, გვეღირსოს თქვენი ნახვა, და აგრეთვე დაგვასწროს მრავალ ჟამიერ, თქვენს მობრძანებას, წმინდის სამების ტაძარში იმედი გვაქვს, ჩვენო მეუფევ, როგორც გაცნობილი ხალხი, მიგიღოთ ღირსეულად. ქრისტე აღსდგა! მამ გაუმარჯოს ჩვენს წმინდა ალავერდის დავით ეპისკოპოსს, დიდება და აღმატება თქვენს დიდებულს სახელს, ჩვენო მოწყალეო მეუფევ!

**ყოვლადსამღვდელო ლეონიდის მოკესა ურობა საქმეკრელოს ეკლესიების დასათუადიერებად.**

(გაგრძელება<sup>1</sup>)

ს. ოზობურიდამ ს. ჩხოროწყუმდე\*) კარგა მანძილია. გზაში საშინელმა წვიმამ მოგვასწრო. ისე დაგვასველა როგორც თევზები. რამდენიც გვეჩქარებოდა და მივერცებოდით ცხენებს, იმდენად გზა უფრო გვირგვინდებოდა და სასოწარკვეთილებას ვეძლეოდით.

1) იხ. „ზნ. საქ.“ № 12-13.  
\*) ჩხორი ნიშნავს სათვალავით ცხრას, წყუ-წყალი.

კოკისპირული წვიმა და სეტყვა ფარდასავით გვეფარა წინ და ველარაფერს ველარ ვხედავდით, გზის მკოდნე კაცებიც კი ველარ აგნებდნენ გზას. ბოლოს, როგორც იყო, მივალწიეთ ბინას, მარამ, სამწუხაროთ, ჩვენი მასპინძლის სახლშიც თითქმის ისე წვიმდა, როგორც გარეთ. შეგვიბრალა ღმერთმა და ერთი საათის შემდეგ მშვენიერი მზე გამობრწყინდა. გამოვიცვალეთ ნახევრად სველი საცვლები და რომელიც ზედ გვეცვა, მზეს მიუფინეთ გასაშრობათ.

ს. ჩხოროწყუს ეკლესია ხისაა და სხვა ეკლესიებთან შედარებით არა უშავს რა. ეკლესიის დათვალეირების დროს მოასვენეს მიცვალეზული და მთელი ეზო აივსო ხალხით. ქირისუფლებმა პანაშვიდის გადახდა სთხოვეს მეუფეს და მანაც სიამოვნებით შეუსრულა თხოვნა. მღვდელმთავარი წასვლას ეპირებოდა ს. ლეჯიქეში, რომ შეაჩერეს და შემდეგი საჩივარი გაუცხადეს: ჩვენ და ჩვენი მღვდელი ერთათ ვერ მოვთავსებულვართ და გთხოვთ ის სხვაგან გადაიყვანოთ და ჩვენ ახალი მღვდელი მოგვეცეთო. საჩივრის მიზეზი ვერაფერი ვერა მოახსენეს რა გარდა იმისა, რომ ეგ ღვდელი არ გვინდაო. მღვდელმთავარი მიხვდა, რაშიაც იყო საქმე და უბრძანა: მე ცხადათ ვხედავ, რომ თქვენ აუღელვებიხართ სხვადასხვა ცრუ პირობების აღთქმით რომელიღაც არა საიმედო პირს, რომელსაც ან გადმოსვლა უნდა სხვა ბრველიდან თქვენში, ან მღვდელობის მიღება. მე შეგისრულეზთ თხოვნას, სულ ჩქარა გადავიყვან თქვენგან თქვენ მღვდელს, მაგრამ, რადგანაც ერთი ვერისს მანძილითაც არა შორავს თქვენი ეკლესია მეზობელ ლეჯიქეს მრევლს, ზედ მიგაწერთ და ერთი ღვდელი გეყოლებათო. აღელვებულეზმა ჯერ მადლობა გადაუხადეს მის მეუფეზას, მაგრამ როცა შეიტყვეს რასა ნიშნავს შტატის მოსპობა, ყველა მუხლებზე დაეცნენ, ბოდიში მოიხადეს მღვდელმთავრის წინაშე და თაჳიანთი სიტყვა უკანვე წაიღეს.

ს. ლეჯიქეს ეკლესია სულ ახალი ქვიტიკირის შენობაა და სამკაულეზიკ საქმოდ მოეპოვება. აქ მისი მეუფეზა დიდხანს არ დარჩო-



მილა, რადგანაც ლამდებოდა და მარშრუტით ლამის გასათევი ბინა ს. ავუთში გვქონდა და ნიშნული.

უფალს უნდა უმაღლოდეთ, რომ იმ ბნელ და წვიმიან ღამეში ტყეში სიარულს უმარცხოთ გადაურჩით და ლამის ათ საათზე მშვილობით მივალწიეთ ახუთის მღვდლის ნაროუშვილის ბინას.

მეორე დღეს, 31 ივლისს, კვირა იყო. მისმა მეუღლებამ წირვამდე ინახულა მეორე ახუთის ზედმიწერილი ეკლესია. იგი ქვისაა, ხატები და ნივთები არ აქვია და მისი გაშტატება უსათუოდ საქროა.

მეორე ახუთის შტატის ეკლესია ბრწყინვალე ვარსკვლავივით დაჰკიათებს მიდამოს და სიამოვნებით იზიდავს თავისკენ ყველას. წირვაზე მწყობრად და საამოდ გალობდნენ მღვდელი ნაროუშვილი და ორი მრევლთაგანი. ეკლესიაში ტევა არ იყო. განიცადეს დროს მისმა მეუღლებამ შემდეგი სიტყვა ბრძანა:

ჩვენ, ქრისტიანებს, ის დიდი ბედნიერებაა გვაქვს ღვთის განგებისაგან მონიჭებული, რომ ყოველ წირვის დროს ვისმინთ. იესო ქრისტეს ღვთაებრივ ქადაგებას, იესო ქრისტეს დიდებულ მოძღვრებას, ჩვენი მაცხოვრის უკვდავ სიტყვებს, ქვეყნის მხსნელის სამარადისო, დაუძველებელ, სულის ჩამდგმელ ნათელ აზრებს. ისე საღმრთო წირვა არ შესრულდება, რომ წმ. სახარება არ მოვისმინოთ და აი სწორეთ ეს სახარება შეიცავს იესო ქრისტეს ქადაგებას, იესო ქრისტეს მოძღვრებას, იესო ქრიტეს მუსაიფს ჩვენთან, ქრისტესაგან პირდაპირ დარიგებას, პირდაპირ ხელმძღვანელობას ჩვენსას, ისე, როგორც იგი ასწავლიდა და მოძღვრიდა თავის მოწაფეებს, როგორც არიგებდა და ხელმძღვანელობას უწევდა ებრაელებს თავის დიდებულ ამაღლებამდე. ტრაპეზზე დასვენებული სახარება — მაჩვენებელია ქრისტეს მუდმივი განუმორებელი ყოფნისა ჩვენთან ქადაგებით და ღვთაებრივი მადლით, სახარების დანახვა თვით ქრისტეს ხილვით და სახარებას მთხვევა ქრისტეს უხრწნელი გვაშის ამბორებას.

ამ საღმრთო წიგნს კაცობრიობამ სახელად სახარება უწოდა იმის გამო, რომ მისი

შინაარსი, მისი შეუდარებელი მოთხრობები და იგავები ნამდვილათ გასახარელი, ნამდვილათ საამო და სანეტაროა ადამიანის გულისა და გონებითვის. გულდასმით, ყურადღებით და სასოებით კითხვა და მოსმენა სახარების თვითიული მოთხრობისა ისე ანთავისუფლებს კაცს ვარამ-დარდებისაგან, ისე აშორებს მის გულს ეჭვსა და რყევას, ისე ჰფანტავს და აქრობს ადამიანში სასოწარკვეთილობას, გამოურკვეველობას და მიუხვედრელობას, როგორც ლამის წყვიდას დილის მზის სხივები.

აგერ მან გაიგონა სახარებიდან იესო ქრისტეს სიტყვები: — „მე ვარ გზა, და მე ვარ ქეშმარიტება და ცხოვრება“ და ამის შემდეგ ისე გრძობს თავს, თითქოს ვისმე მძიმე ლოდი ჩამოეხსნას მისთვის გულიდან, თითქოს ბინდი გადაჰყოფდეს თვალებიდან, ვისმეს ბნელი ოთახიდან ცხრა თვალ მზეზე გამოეყვანოს. აქამდინ თუ შფოთავდა, სწუხდა, დაკარგული ჰქონდა სულის სიმშვიდე, აქეთ-იქით აწყდებოდა სულის კვეთებით, რა ვქნა, სად ვიპოვნო გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი, რითი ვიხელმძღვანელო ცხოვრებაშიო, ახლა, შემდეგ მოყვანილი ქეშმარიტების გაგონებისა, სრულებით დამშვიდდა და გულსავე შეაქმნა; ახლა მისთვის ყველაფერს ფარდა აეხადა და დღესავით ცხადი შეიქმნა, რომ ქრისტეს მოძღვრების გარეშე წარმოუდგენელია ადამიანმა რაიმე სიკეთეს მიადწიოს და ამიტომ თავისი სიკოცხლისა და მოქმედების საგნად ისახავს მარტოდ მარტო ქრისტეს მოწაფეობას, ქრისტეს მორჩილებას და ქრისტეს მსახურებას; ის მეორედ დაიბადა, მთლად გადახალისთა და სავსებით დაეთხოვა თვის წინანდელი ცხოვრების შემეცდარ გზას, ჰსენო რა სახარებიდან ის უზომო სიყვარული და შეწყყნარება, რომელსაც უჩენდა ხოლმე მაცხოვარი მონანულ ცოდვილებს, მესამეს გულში აერთო მოყვასთა სიყვარულისა, თავის მსგავსთათვის ზრუნვა-სამსახურისა, შებრალება-შეწყნარებისა და გატანის გაუქრობელი სურვილი, როდესაც გაიგონა იგავი მდიდარსა და ლახარზე და სხ. და სხ.

ღიად, სახარების სიტყვა ყოველთვის გამხარებელი და აღმართოვანებელია კაცის გულისა და ქეშმარიტად ბედნიერია, ვინც ხშირად ეწაფება ამ წმიდა წყაროს, ვინც ამ ზეციური ნაკადულით აკმაყოფილებს თავისი სულის მოთხოვნილებებს, ვინც ხშირად სვამს მას და არა დროს არ შორდება მის ნაპირებს! გარნა, ვაი ჩვენ, საბრალოთა, რომ არ



ვიცნობთ ამ „ცხოვრების წიგნს“, არ გვცუვარს მისი ხშირი კითხვა და მოსმენა და არც იმას ვცდილობთ, რომ ჩვენმა შეილებმა მაინც არის გაიგონ ამ უკვდავების წყაროს გემო, ჩვენი შეილები მაინც დასტებენ სახარების შინაარსის გაგებით, ჩვენმა შეილებმა მაინც არის დაამყარონ თავიანთი ცხოვრება სახარების მოძღვრებაზე. მაგრამ კიდევ რა სათქმელია! ხშირათ ჩვენც ვისმენთ და შეილებსაც ისეთი ქადაგების მოსმენის ნებას ვაძლევთ, რომელიც ჰგმობს სახარებას და გირჩევს ხელი ავიღოთ, სამუდამოთ დავივიწყოთ იგი, რადგანაც, ვითომ-და დღევანდელი სახარება შეცვლილი და შებლაღული იყოს სამღვდლო პირებისგან და არა ნანდვილათ ქრისტეს პირიდან გამოსული.

როგორც თქვენი მოძღვარი და სულიერი, მწყემსი ვაფრთხილებთ და გთხოვთ შორს დაიჭიროთ თავი ასეთი მქადაგებლებისაგან. სახარებას სდევნის ისეთი კაცები, რომლებსაც ხელშიაც არ სჭერიათ იგი, რომლებმაც არც თავი იციან სახარებისა და არც ბოლო. თუ ასე არაა რწინამღვილეს გვიქადაგებენ, მაშ გამოაჩინონ ნამღვილი, შეუბღალავი სახარება და მითი დამტკიცონ დღევანდელი ჩვენი სახარების სიყალბე. მაგრამ ამას ვერ ჩადიან. რადგანაც, გარდა ჩვენი სახარებისა, ქრისტეს მეორე სახარება არ მოუტანია. სახარებას სდნევიან მხოლოდ იმ განზრახვით, რომ ხალხი გააუკუღმართონ, ხალხს სარწმონოება წაართვან, ხალხი უსჯულო გახადონ, ესე. იგი მოსპონ ქვეყანაზე მისი ხსენება, რადგანაც, როგორც სახარება გვასწავლის, ცხოვრება მდგომარეობს იმაში, რომ ვიცნობდეთ მხოლოსა ჭეშმარიტსა ღმერთსა და მისგან მოვლინებულს იესო ქრისტესა. (იოან. იზ, გ.)

შეილებო, ცხოვრების წყარო სახარებაა და ღმერთსა ვთხოვ, რომ მუდამ მტკიცე მოსიყვარულენი ყოფილიყოთ ქრისტეს სახარებისა!

სიტყვის გათავების შემდეგ მადლობა უბრძანა მრევლს, რომ დიდათ გიზრუნიათ ეკლესიისთვის, და უსურვა: ღმერთსა ვსთხოვ, რომ, როგორც ეს თქვენი ეკლესია გამოჩენილი და სასიამოვნოა ყველასთვის, ისე თქვენი ცხოვრება ააყვავოს და სასიამოვნო გახადოს ქრისტიანული მიმართულებით.

შემდეგი იქნება.

რედაქტორი მღვდელი სიმონ მგაღლიძე.  
გამომცემელი იოსებ ლეჟავა.

# ბანსხა ღმობა.

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ ეკლესიების ხატების და კანკლების მსურველთ, რომ მაქვს გახსნილი

ქ. ქუთაისში, თფილისის ქუჩაზე, რეალურ სასწავლებლის პირდაპირ **ლოლუას** შენობაში

## სამხსენებრო საწყობი,

სადაც მზადდება და გამზადებულებიც მაქვს ხატები და კანკლები და ზაკაზებსაც ვღებულობ. ბეს არ ვღებულობ. ზაკაზებს შევასრულებ მისის შეუფხვების ეპისკოპოსის მოსაწონს და მის მიერ მინდობილებით კომისიის მოწონებულს, მაშინ მივიღებ გარიგებულ ფულს. თუ რამოდენიმე დაგაკლებათ, გენდობით რამოდენიმე ხნით. ჩემთან არ მოტყუდლებით, ბატონებო; ზაკაზებს ვასრულებ დაკლებულ ფასებში და საშვალეხსაც ვაძლევთ. ამით სჩანს ჩემი ბეჯითობა. მაქვს ნებართვა ექვსი ეპისკოპოსისაგან: 1) გაბრიელისაგან, 2) ბესარიონისაგან, 3) ბენიამენისაგან, 4) ალექსანდრესაგან, 5) დიმიტრისაგან, 6) გიორგისაგან. ამ შემთხვევებულეებმა ეპისკოპოსებმა სათითაოთ განიხილეს ჩემი ატესტატი, ხატები და კანკლები მოიწონეს და ნება დამრთეს 1912 წლამდის მომიწყვია 83 ეკლესიების ხატები და კანკლები და ერთი მომიჩივანი, ან უკმაყოფილო არავინ მყოლია.

აწი უმფრო იმედოვნა ვარ შევასრულო ზაკაზები, რადგანაც დიდი გამოცდილი ვარ და საუკეთესო მხატვარსაც ვიქვო. ნება დართული დედანი მაქვს. ამ დედაებთან ვხატავთ და ვაწყობთ. ზოგიერთი მხატვრები ბევრს ტყუღს ახერხებენ, მით პარტიებს შოულობენ. არა, ბატონებო, ტყუილია. იმასთან მიბრძანდით, ვინც თქვენი ერთგული და ზაკაზის შემსარტლებელი იყოს.

სინდისიანათ შემსარტლებელი ზაკაზების.

**იოსებ მალაქიასძე ბაზუნაშვილი.**